ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ვ. ჩ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი – ადვოკატი დ. ტ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.04.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №028/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ბ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 03 აპრილს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. ჩ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ს. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 16 მარტს ჰქონდა საოჯახო დავასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, სასამართლოს ტერიტორიაზე საჩივრის ავტორს შეხვდა თავისი მეუღლის ადვოკატი, ს. ბ., და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა, კერძოდ: „შე ავადმყოფო, კიდევ აქ ხარ?"; „რომელ საუკუნეში ხარ შე ავადმყოფო, ტელეფონი რომ არ გაქვს". შემდეგ სიტყვა „ავადმყოფი" კიდევ რამდენჯერმე უწოდა ადვოკატმა საჩივრის ავტორს, რაზეც ვ. ჩ.-მა მას უპასუხა, რომ კიდევ საკითხავი იყო თუ ვინ იყო ავადმყოფი.

1.3 2017 წლის 03 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ვ. ჩ. წარმოადგინა ადვოკატმა დ. ტ.-მ, რომელმაც განმარტა, რომ ვ. ჩ.-სა და მის მეუღლე მ. ბ.-ს შორის არსებობდა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული დავა, სადაც მ. ბ.-ის უფლებებს იცავდა ადვოკატი ს. ბ.. სასამართლო პროცესის, დასრულების შემდეგ ვ. ჩ.-ს სასამართლოს ტერიტორიაზე შეხვდა ადვოკატი ს. ბ. და ცინიკური ტონით მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ მიმართა: "შე ავადმყოფო, ერთი ტელეფონი რომ არ გაქვს, აქედან დაიკარგე, გაეთრიე, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს".

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ს. ბ.-მა 2017 წლის 26 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ასევე 2017 წლის 08 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირად მიუთითა, რომ იგი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას და საჩივარში წარმოდგენილი გარემოებები არ შეესაბამება სიმართლეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მეუღლემ მ. ბ.-მ მიმართა ძალადობის მსხვერპლთა დამხმარე ორგანიზაციას და იქ შეაფარა თავი. ამის შემდეგ ორგანიზაციის იურისტები უწევენ მ. ბ.-ს სამართლებრივ დახმარებას. იქიდან გამომდინარე, რომ ვ. ჩ.-მა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ. ტ.-მ ვერ შეძლეს გაეუქმებინათ შემაკავებელი ორდერი, რომელიც ვ. ჩ.-ის მიმართ არსებობდა, მათ ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ გაუჩნდათ აგრესია, რადგან ჩათვალეს, რომ ადვოკატი ს. ბ. უწევდა იურიდიულ დახმარებას მ. ბ.-ს.

2.3 2017 წლის 08 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ს. ბ.-მა უარყო მის მიერ ვ. ჩ.-ის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

3. მოწმე მ. ბ.-ის პოზიცია

მ. ბ.-ის წერილობითი განმარტების მიხედვით, მას ორი წლის წინ დასჭირდა ადვოკატის დახმარება, რადგან იყო ძალადობის მსხვერპლი. მ. ბ.-მ თავის ყოფილ მეუღლესთან ვაჟა ჩიქოვანთან დავაში თავისი ინტერესების დასაცავად მიმართა ადვოკატ ს. ბ.-ს. როდესაც ვ. ჩ.-მა გაიგო, რომ მისი ყოფილი მეუღლის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ს. ბ., ყოველდღე ურეკავდა ადვოკატს და დახმარებას სთხოვდა. ს. ბ. ვ. ჩ.-ს დაეხმარა, რომ მას ენახა თავისი შვილები. ვ. ჩ.-ს და მის ადვოკატს დ. ტ.-ს ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ აგრესია გაუჩნდათ მას მერე, რაც ვ. ჩ.-ის მიმართ ძალაში შევიდა შემაკავებელი ორდერი. მათ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატი ს. ბ. არ იღებდა მონაწილეობას საქმის სასამართლო განხილვებში.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ს. ბ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

4.2 ვ. ჩ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 03 აპრილს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის 16 მარტს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ტერიტორიაზე საჩივრის ავტორს შეხვდა თავისი მეუღლის ადვოკატი ს. ბ. და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა, კერძოდ: „შე ავადმყოფო, კიდევ აქ ხარ?“; „რომელ საუკუნეში ხარ შე ავადმყოფო ტელეფონი რომ არ გაქვს!“; შემდეგ სიტყვა „ავადმყოფი“ კიდევ რამდენჯერმე უწოდა ადვოკატმა საჩივრის ავტორს.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ს. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“.

6.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.

6.3 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის, უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

6.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე N075/10 დაადგინა, რომ „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს.“

6.5 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ქმედების შესაფასებლად, უპირველესყოვლისა მნიშვნელოვანია დადგინდეს შეხვდნენ თუ არა ადვოკატი ს. ბ. და საჩივრის ავტორი ერთმანეთს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ტერიტორიაზე 2017 წლის 16 მარტს და შედგა თუ არა მათ შორის სიტყვიერი კომუნიკაცია.

6.6 საჩივრის ავტორის პოზიციის მიხედვით, 2017 წლის 16 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე საჩივრის ავტორს შეხვდა ადვოკატი ს. ბ. და საჩივრის ავტორის პოზიციის თანახმად, მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ: „შე ავადმყოფო, კიდევ აქ ხარ?"; „რომელ საუკუნეში ხარ შე ავადმყოფო ტელეფონი რომ არ გაქვს". შემდეგ სიტყვა „ავადმყოფი" კიდევ რამდენჯერმე უწოდა ადვოკატმა საჩივრის ავტორს. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატი აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას და საჩივარში წარმოდგენილი გარემოებები არ შეესაბამება სიმართლეს. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მეუღლემ მ. ბ.-მ მიმართა ძალადობის მსხვერპლთა დამხმარე ორგანიზაციას და იქ შეაფარა თავი. ამის შემდეგ ორგანიზაციის იურისტები უწევენ მას დახმარებას. იქიდან გამომდინარე, რომ ვ. ჩ.-მა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ. ტ.-მ ვერ შეძლეს გაეუქმებინათ შემაკავებელი ორდერი, რომელიც ვ. ჩ.-ის მიმართ არსებობდა, მათ ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ გაუჩნდათ აგრესია, რადგან ჩათვალეს, რომ ადვოკატი ს. ბ. უწევდა იურიდიულ დახმარებას მ. ბ.-ს. ადვოკატი ს. ბ. უარყოფს ვ. ჩ.-ისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

6.7 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის შესაბამისად, ,,დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე. ამავე დებულების მე-17 მუხლის მიხედვით, მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები".

6.8 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს." მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, ვ. ჩ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ს. ბ.-მა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა ქცევის სტანდარტი, შესაბამისად საჩივრის ავტორს ეკისრება ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვს საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორმა მხოლოდ წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა ეთიკის კომისიაში, ხოლო მისმა

წარმომადგენელმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირად ისაუბრა საჩივარში წარმოდგენილ გარემოებებზე.

6.9 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის და მოპასუხე ადვოკატის პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ადვოკატმა ს. ბ.-მა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ვ. ჩ.-ისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია, თუმცა მას კონკრეტულად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ტერიტორიაზე ვაჟა ჩიქოვანთან შეხვედრაზე ახსნა-განმარტება არ გაუკეთებია. ადვოკატი ს. ბ. აღნიშნავს, რომ ვ. ჩ.-ის მეუღლე მ. ბ., რომლის ინტერესებსაც თავად ადვოკატი იცავდა, იმყოფება ორგანიზაციაში, რომელმაც მას თავშესაფარი მისცა და იურიდიულ დახმარებასაც უწევს. ასევე მ. ბ.-მ თავის წერილობით ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ როდესაც ვ. ჩ.-მა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა მის მიმართ შემაკავებელი ორდერის მიღება, იმ დროისთვის ადვოკატი ს. ბ. აღარ იცავდა მ. ბ.-ის ინტერესებს. ასევე ვ. ჩ.-ის წარმომადგენელმა ადვოკატმა დ. ტ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ როდესაც საჩივრის ავტორი და ადვოკატი ს. ბ. ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ტერიტორიაზე, იმ დღეს გამართულ სასამართლო პროცესზე ადვოკატი ს. ბ. არ იმყოფებოდა და არ იცავდა მ. ბ.-ის ინტერესებს. ვ. ჩ.-ს საჩივარში მოცემული გარემოებების დასამტკიცებლად საჩივარში მოცემული ახსნა-განმარტების გარდა სხვა სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად ვერ დგინდება ვ. ჩ.-ის და ადვოკატ ს. ბ.-ის შეხვედრის და ადვოკატ ს. ბ.-ის მიერ ვ. ჩ.-ის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი.

6.10 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ს. ბ.-მა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. საპროცესო კოლეგიის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ადვოკატ ს. ბ.-ის მიერ მისი სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტების დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტებით, 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №028/17 ადვოკატ ს. ბ.-ის მიმართ, /სიითი #/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:	/ციცინო ცხვედიანი/
კოლეგიის წევრი:	/თორნიკე ბაქრაძე/
კოლეგიის წევრი:	/გოჩა სვანიძე/